ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 209

"23" ივლისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქ. №1-ში მდებარე 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.024.959) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიკა 93"-ისთვის (ს/ნ: 406077793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქ. №1-ში მდებარე 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.024.959) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიკა 93"-ისთვის (ს/კ 406077793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 26 ივნისის №19.714.907 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქ. №1-ში მდებარე 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.024.959) შპს „ნიკა 93"-ისთვის (ს/ნ: 406077793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1100 (ათას ასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე